ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის
სამსახურის უფროსს ბატ. მ. კუნელაურს

ქ .თბილისში, სასტუმრო "აკადემიასა" და რესტორან "დელისის" მიმდებარედ აშენდა შპს "ფორტაქს გრუპის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია 2012 წელს და საცხოვრებელი სახლი მიღებულია ექსპლუატაციაში.

ჩვენი სურვილია მისი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით მოვახდინოთ პირველი და ანტრესოლის სართულების რეკონსტრუქცია, სადაც გათვალისწინებული იყო ოფისების მოწყობა. კერძოდ, გასაუქმებელია პირველი სართულიდან მოწყობილი ანტრესოლის სართულზე ამავალი კიბის უჯრედები და მთლიანი ფართი დაეთმობა ოფისებს. ხოლო ანტრესოლის სართულზე შესასვლელი მოეწყობა არსებული სადარბაზოდან, სადაც კიბის ბაქნის +1.65 მ ნიშნულზე ბეტონის ბლოკის 30 სმ სისქის არამზიდ კედელში გაიჭრება სართულზე, ამავე ნიშნულზე, შესასვლელი კარი. ანტრესოლის სართულზე ოფისების ნაცვლად მოეწყობა გამანაწილებელი კორიდორი და შედარებით პატარა ზომის საცხოვრებელი ბინები.

ამის გამო ჩვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული იქნა აღნიშნული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტი (ნომერი AR 1136520), რომელიც დამუშავებულია შპს "ემ-ჯი სტუდიო-"ს მიერ. თავდაპირველი პროექტი, რომლის მიხედვითაც აშენდა საცხოვრებელი სახლი დამუშავებულია შპს "ფავნისში", დირექტორი და პროექტის მთ. არქიტექტორი არჩილ ფავლენიშვილი. ვინაიდან, სამწუხაროდ, არჩილ ფავლენიშვილი გარდაიცვალა, თქვენი სამსახურის თხოვნას, წარმოვადგინოთ პროექტის ავტორის თანხმობა, ვერ შევასრულებთ.

ამავე დროს გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია შიდა სივრცის რეკონსტრუქცია და შენობის გარე იერსახე თითქმის არ იცვლება.

შპს "ფორტაქს გრუპი"-ს დირექტორი: /კ. შამათავა/

FORTAX GROUP 206345435